



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 217

ქალაქი ქუთაისი 25 ნომბერი 2015 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ დირექტორის 26.10.2015 წლის N 11037/01 მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურდულიას, სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისათვის“ /ს/ნ 205309637/, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირის N3ა-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართის ნაწილის /ფართობით - 4.82 კვ.მ. საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.03.01.489/ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. ქონებით სარგებლობის ვადა განისაზღვროს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წლის ვადით.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, შოთა მურდულიამ უზრუნველყოს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.